სახ. ბიბლიოთეკა

პროლეტარიანებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 200 (19842) ◆ შაბათი, 31 აგვისტო, 1985 წელი. ◆ ფასი 8 კაპ.

სკკპ XXVII ყრილობას — დამკვრელური შრომა!

ჩაის პლანტაციებში

რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებში გრძელდება ალოობა. საქართველოს სსრ ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ოპერატიული მონაცემებით, რესპუბლიკაში 30 აგვისტოსათვის მოიკრიფა და გადასამუშავებლად ჩაბარდა 433.646 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. 29 აგვისტოს მიმდებ პუნქტებს ჩაბარდა 2.822 ტონა ნედლეული.

ახლა მთავარი ამოცანა ის არის, რომ ყველა რაიონმა და მეურნეობამ მოელი მეცადინეობა მოახმარონ სამუშაოთა ტემპის დაჩქარებას, წარმატებით დასრულონ მესამე ეტაპიც ჩაის კრეფა.

(ტრ. კორ.).

სათიბში ცხარე დღეებია

ზამთარში საკვებზე ფუფუნი გვიანლა იქნება

რესპუბლიკის სათიბებში მწვანე ალოობის დამამთავრებელი სტადია დგება. ახლა ჩანს, თუ სად როგორ გაისარჯნენ პირუტყვის მომვალი გამოზამთრებისათვის მოსამზადებლად.

მთლიანად რესპუბლიკაში შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით საკვები უკეთესი ტემპით მზადდება. კაცილებით მეტია მომარაგებული თივა, სენაჟი, სილოსი, ბალახის ფხვნილი, საკვები ძირხვენები.

და მაინც, ჯერ კიდევ ბევრ რაიონში თიბვა შარშანდელზე ნელი ტემპით მიმდინარეობს. უხეში საკვების დამზადებაში ჩამორჩენიან ბოლნისის, ვანის, კასპის, ლენტეხის, მახარაძის, მარნეულის, მაიაკოვსკის, ცხაკაიას, ჩოხატაურის რაიონების მეურნეობები.

თიბვა ჭიაურდება და საგეგმო დავალებათა შესრულების მიჩვენებლები შესაბამის საშუალო რესპუბლიკურ დონეს ჩამორჩება ასპინძის, ახალციხის, გეგეჭკორის, ლენტეხის, წალენჯიხის რაიონებში.

უარესად არის ცალკეულ რაიონებში სილოსის დამზადების საქმე. ზამთრისათვის ამ საკვების მომარაგებას ჯერაც არ შესდგომიან აბაშის, ბოგდანოვკის, ვანის, ლანჩხუთის, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძის, საჩხერის, წულუკიძის რაიონების მეურნეობებში.

სრულფასოვანი ფურაჟით პირუტყვის უზრუნველყოფას მნიშვნელოვნებულად განაპირობებს ის, თუ როგორი ხარისხის საკვებს ინახავს ფერმა ზამთრისათვის. ამ მხრივ სახარბიელოდ როდი აქვთ საქმე წალენჯიხის რაიონის ჭალეს, ფაბოლანის, წითელწყაროს რაიონის ქვემო ქედის, მარნეულის რაიონის აგამამედლის მეურნეობებში, სადაც დიდძალი უხარისხო სენაჟი და სილოსი აქვთ ჩადებული.

საკვების დაგროვებაში ჩამორჩენა და ამ საქმისადმი გულარხეინა დამოკიდებულება იმის მოწმობს, რომ ადგილობრივი პარტიული კომიტეტები, აგროსამრეწველო გაერთიანებები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობენ ფურაჟის კონვეიერის რიტმული მუშაობისათვის კოლექტივების დარაზმვას, საკვებწარმოების გეგმების უფუო შესრულებას.

ტყიბული. (საქ. კორ.). სტახანოვური მოძრაობის ნახევარსუკუნოვან. იუბილეს მნიშვნელოვანი შრომითი მიღწევებით აღნიშნავენ რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის ფლაგმანის — ლენინის სახელობის შახტის მუშა-მოსამსახურეები. ალექსი სტახანოვის თაოსნობას აქ თავის დროზე პირველი გამოსმაურა სახელგანქმული ქართველი მეშახტე გრიგოლ გორკაძე, რომელმაც ცალში ქვანახშირის მონგრევის რეკორდი დაამყარა. ამ სალუბლიო დღეებში შესანიშნავი შრომითი ტრადიციები გრძელდება. შახტის ყველა საექსპლოატაციო უბანი და ცალი წარმატებით ასრულებს წლის დამდეგიდან ნაკისრ ვალდებულებებს. ლენინელი მეშახტეები სიტყვას საქმედ აქცევენ.

ამ მოწინავე ცალების შორის, რომლებმაც უკვე წარმატებით შეასრულეს სტახანოვური მოძრაობის ალსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი და დროს მნიშვნელოვნად გაუსწრეს, გასულეთ პირველი სექსპლოატაციო უბანი ის ცალი, რომელსაც ახალგაზრდა სამთო ოსტატი ოთარ ვარდოსანიძე უდგას სათავეში. პროგრესული საიჯარო მეთოდის დანერგვითა და შრომის დისციპლინის განმტკიცებით ო. ვარდოსანიძის ცალის კოლექტივმა თვალსაჩინო მაჩვენებლებს მიაღწია. 7 თვეში გეგმის გადამეტებით 400 ტონამდე საკოქსე ქვანახშირი გაუგზავნა მომხმარებელს. ახლა აქ ურაფიკის დიდი განსწრებით მუშაობენ.

სურათზე: ცალის უფროსი ო. ვარდოსანიძე.

ს. სოფრომაძის ფოტო.

დღეს, 31 აგვისტოს სრულდება სტახანოვური მოძრაობის დაწყების 50 წლისთავი

(მასალები იხ. ჯაზეთის 80-ე გვ.)

ანგარიშგება-არჩევნები პირველად პარტორგანიზაციებში

ცამეტი წლის წინ, 1972 წლის 29 აგვისტოს, ანგარიშგება-არჩევნებმა ჩაიარა ყველა ძირითადი ორგანიზაციის ცხოვრებაში. ეს ერთგვარი ფინალური ეტაპი იყო ორგანიზაციებში ანგარიშგებ-არჩევნების ფართო, ინტენსიური, ნაყოფიერი, ორ-სამ თვიანი მზადებისა. ეს ეტაპი ბოლოს ეხებოდა ანგარიშგებ-არჩევნებს ბიუროებში, ფაბრიკებში, ფერმებში, ინსტიტუტებში, ...

მეგობრულ ვითარებაში

(დასასრული)

საარსებო ინტერესებით. ისინი წყვეტენ ბევრი რამით მსგავს ამოცანებს, რომლებიც წარმოშვა წარსულმა და რომლებიც მათ გზაზე მთავალშიც შეხვდებიან. ეს კი გვიკარნახებს, რომ საერთო თანამშრომლობა და კეთილმეზობლობა უშიშროების ფართო კონცეფციის გზაზე, რომელიც შეეხება ევროპის ყველა და თითოეული სახელმწიფოს ინტერესებს.

ჩვენი აზრით, ასეთი კონცეფცია შეიძლება შეიცავდეს თავის დროზე აზიის სახელმწიფოების მიერ შემოთავაზებულ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს, ბანდუნგის ათ პრინციპს, საბჭოთა კავშირის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ინდოჩინეთის ქვეყნების, ინდოეთისა და ბერგიოს სხვა სახელმწიფოების მთელ რიგ ინიციატივებს აზიაში უშიშროების პრობლემების, მშვიდობის ზონად ინდოოკეანის ოკეანეს გადაქცევის თაობაზე და სხვ.

აზიის უშიშროების განმტკიცებას, უეჭველია, ხელს შეუწყობს ბირთვული სახელმწიფოების მიერ ბირთვული იარაღის გამოცდის სრული შეწყვეტა, მათ შორის აზიაში, წყნარი და ინდოეთის ოკეანეების აუზებში, აგრეთვე ის, თუ რეგიონის სახელმწიფოები უარს იტყვიან მონაწილეობა მიიღონ კოსმოსის მილიტარიზაციის გეგმებში.

რა თქმა უნდა, კოლექტიური მეცადინეობის შედეგად ეს დებულებანი შეიძლება განვითარდეს და შეიცვალოს. ყურადღებას იმსახურებს, მაგალითად, წინადადებანი, რომელთა მიზანია ძალის გამოყენებლობა, რეგიონის ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, ნდობის ღონისძიებათა განხორციელება სამხედრო პოლიტიკურ დარგში და მრავალი სხვა.

ცხადია, აზიის უშიშროების კონცეფციის შემუშავება და განხორციელება გრძელვადიანი ამოცანაა. მისი განხორციელებისათვის საჭიროა ეტაპობრივი მიდგომა—მარტივიდან უფრო რთულამდე, რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, იგი გაგებით მოეკიდება ყველა წინადადებას, რომელიც საკარნახებები იქნება აზიაში მშვიდობისა და უშიშროებისათვის ნამდვილი ზრუნვით.

ძვირფასო მონღოლო მეგობრებო!

ჩვენ ერთმანეთს ვხედებით ღირსშესანიშნავ პერიოდში, როცა ჩვენს ქვეყნებში გაჩაღებულია მზადება პარტიული ყრილობებისათვის. იგი მიმდინარეობს მარქსიზმ-ლენინიზმის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმის იდეებისადმი საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის მშრომელთა ერთგულების ნიშნით. ეს იდეები, რომლებმაც საუკუნოდ შეგვაკავშირა, შთაგვაგონებს დაუცხრომელ მუშაობას სოციალიზმისა და მშვიდობისათვის.

ნება მიბოძეთ გისურვოთ, ძვირფასო ამხანაგო ბატმუნხ, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობას, მთელ მოძმე მონღოლ ხალხს ახალი დიდი წარმატებანი ამ მუშაობაში, ბედნიერება და კეთილდღეობა.

• • •

სალამუხო სიტყვა წარმოთქვა ჟ. ბატმუნხმა.

ამხანაგ ჟ. ბატმუნხის სიტყვა

ძვირფასო მიხეილ სერგის ძეო!

ძვირფასო საბჭოთა მეგობრებო!

ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა ნება მიბოძეთ გულწრფელი მადლობა მოვახსენო სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მთავრობას, პირადად თქვენ, ძვირფასო მიხეილ სერგის ძეო, გულთბილი მეგობრული მასპინძლობისათვის, კეთილი სიტყვებისათვის ჩვენი პარტიისა და მონღოლი ხალხის მიმართ.

დიდად კმაყოფილნი ვართ ჩვენი მეგობრული შეხვედრის შედეგების გამო. ეულითადობის, სრული ერთსულოვნებისა და ურთიერთნდობის ვითარებაში ერთმანეთს გავუზიარეთ აზრი მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის თანამშრომლობისა და საერთაშორისო ცხოვრების აქტიურად საკითხებზე. დღეკვანდელმა საუბარმა კვლავ დაადასტურა, რომ ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი კეთილად ყოველმხრივ გაეფართოოთ და გავაღრმაოთ მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა მისი ყოვლისმომცველი კომპლექსით, განსაკუთრებულად სრულიყოთ თანამშრომლობის ყველა ფორმა და ავამაღლოთ მისი ეფექტიანობა.

მინდა ეფიდენი კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის, მთელი მონღოლი ხალხის სახელით უდიდეს მადლობას ვუხდი სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის მთავრობას, ამ ბრძოლაში, მთელ საბჭოთა ხალხს, გულწრფელი დახმარებისა და მხარდაჭერისათვის.

დღეს ხელი მოვაწერეთ ახალ, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტს — მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის განვითარების 2000 წლამდე პერიოდის გრძელვადიან პროგრამას. იგი სახავს ჩვენი ქვეყნების მრავალმხრივი თანამშრომლობის ფართო პერსპექტივებს და განსაზღვრავს მისი შემდგომი განვითარების კონკრეტულ მიმართულებებს. ამ პროგრამის წარმატებულ რეალიზაციას მოჰყავება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ახალი აღმავლობა, შრომითთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება. ამ გზაზე მნიშვნელოვანი ნიშნისვეტი გზიდან მომავალი ხუთწლეული. მიგვაჩნია, რომ ეს პროგრამა მთლიანად შეესაბამება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების უმაღლესი დონის ეკონომიური თათბირის გადაწყვეტილებათა სულისკვეთებას, ხელ შეუწყობს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების დაჩქარებას და მისი ეფექტიანობის გაზრდას, სოციალისტურ ეკონომიკურ ინტეგრაციაში ჩვენი ქვეყნის მონაწილეობის შემდგომ გაფართოებას.

დღეს ჩვენი ქვეყნების ხალხთა აზრები და მისწრაფებები მიმართულია მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორგი ყირილობების ღირსეული შეხვედრისათვის.

ჩვენში ცხოველი ინტერესით აღვენებენ თვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტებისა და მშრომელთა მზადებას სკკპ XXVII ყრილობისათვის, რომელიც უდავოდ თვალსაჩინო მოვლენა გახდება მსოფლიო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ცხოვრებაში. სკკპ ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს ენერგიულ ღონისძიებებს, რათა მთლიანად გადაიყვანოს სსრ კავშირის ეკონომიკა ინტენსიური განვითარების რელსებზე, მკვეთრად გაზარდოს შრომის ნაყოფიერება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საფუძველზე. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გამდელნი, ნოვატორული მოდგმა განვითარებული სოციალიზმის შემდგომი სრულყოფის პრობლემებისადმი, რომლებიც ახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების გადაწყვეტილებებში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლებში, ახალ იმპულს ანიჭებს ჩვენი პარტიის საქმიანობასაც, შთაგაგონებს მონღოლ შრომელებს.

მომდინარე წლისა და მთელიანად ხუთწლედის წარმატებით დამთავრება, ახალი ხუთწლედის პირველი წლისათვის კარგი მაჩვენებლების შექმნა, შრომის ნაყოფიერების გადიდება, მუშაობის ეფექტიანობის გაზრდა და ხარისხის გაუმჯობესება, ჩვენს ცხოვრებაში პოზიტიური ძვრების დამკვიდრება, დისციპლინის, წესრიგისა და ორგანიზებულობის გამტკიცება — აი, ის მთავარი ამოცანები, რომლებსაც მიაყრობენ ძირითად ყურადღებას პარტია და ქვეყნის ყველა შრომელი.

ჩვენ სავსებით ვიზიარებთ, ძვირფასო მიხეილ სერგის ძეო, მსოფლიოში, კერძოდ, აზიაწყნარი ოკეანის რეგიონში არსებული თანამედროვე ვითარების თქვენეულ შეფასებას. ეს ვითარება კვლავ უარესად დაბაუნია. ამის მთავარი წყაროა ამერიკის შეერთებული შტატებისა და მისი მოკავშირეების აგრესიული პოლიტიკა, რომლის მიზანია გამაღლებული შეიარაღების შემდგომი გაძლიერება, საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან შეიარაღებით სამხედრო უპირატესობის მიღწევა, კოსმოსური სივრცის მილიტარიზაცია. იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული წრეები ისევ და ისევ ცდილობენ უსოდ-ბა შეატრიალონ ისტორიის ჩარხი, აიღონ სოციალური რევანშის სოციალიზმის, პროგრესისა და დემოკრატიის ძალებზე.

ამ რთულ პირობებში საბჭოთა კავშირი და სოციალისტური თანამეგობრობის სხვა ქვეყნები მტკიცედ ადგანან კურსს, რომელიც გამსჭვალულია გულწრფელი ზრუნვით კაცობრიობის ახლანდელ და მომავალ თაობათა კეთილდღეობისა და მშვიდობიანი ცხოვრებისათვის, იბრძვიან გამაღლებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისა და განიარაღებისათვის. ამ მიზნებს ემსახურება საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივების ვრცელი კომპლექსი.

ამ დღეებში, როცა პროგრესული კაცობრობა ემზადება აღნიშნოს 40 წლისთავი იაპონის მილიტარიზმის განადგურებისა, რომელიც სსრ კავშირმა გადამწყვეტი როლი შეასრულა, საბჭოთა კავშირმა ახალი საშვიდობო ინიციატივა გამოიჩინა. მან წინადადება წამოაყენა მორატორიუმი დაუწესონ ყოველგვარ ბირთვულ აფეთქებებს 6 აგვისტოდან, ეს იგი ის ტრაგიკული დღიდან, როცა 40 წლის წინათ ჰიროსიმა ამერიკის ატომური დამბალის მსხვერპლი გახდა. სსრ კავშირი აგრეთვე მოუწოდებს ქვეყნებს საერთაშორისო თანამშრომლობისათვის კოსმოსის შვიდობიანათვისებაში.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა იწონის და მთლიანად უჭერს მხარს საბჭოთა კავშირის შვიდობისმოყვარულ საგარეო-პოლიტიკურ კურსს.

როგორც აზიის სოციალისტური სახელმწიფო, ჩვენი ქვეყანა გულწრფელად ისწრაფვის ხელი შეუწყოს მტკიცე შვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფას აზიაში, კონტინენტისა და მისი მიმდებარე რეგიონების ქვეყნებს შორის კეთილშობლური ურთიერთობის დამყარებას. ამ ეტაპზე ეს ამოცანა ერთ-ერთ ადგილზეა. ამის მთავარი ნაბიჯი ამერიკის შეერთებული შტატებისა და სსრ კავშირის ეკონომიკურ-ტექნიკური ურთიერთობის ინტენსიური განვითარებაა. ეს ეხება ეკონომიკურ ურთიერთობებს, ეკონომიკურ, მეცნიერულ-ტექნიკურ და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებში, მტკიცდება პარტიული, სახელმწიფო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების უშუალო საქმიანი ურთიერთობა. საბჭოთა კავშირის ნამდვილად ინტერნაციონალისტური დახმარებათა და მხარდაჭერით დაჩქარებული ტემპით ვითარდება ეკონომიკა, მეცნიერება, კულტურა და ეროვნულ-ეროვნული ყოველმხრივ გაფაფართოოთ და გავაღრმაოთ მონღოლეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა მისი ყოვლისმომცველი კომპლექსით, განსაკუთრებულად სრულიყოთ თანამშრომლობის ყველა ფორმა და ავამაღლოთ მისი ეფექტიანობა.

ასეთია ჩვენი ერთსულოვანი ერთგულებისა და ურთიერთგაგების ნიშანი. ეს ეხება, ალბათ, ჩვენ ორ ქვეყანას, ორ ხალხს, ორ ოჯახს. საპენსიო ასაკის მიუხედავად, ამჟამადაც შრომის ფერხულშია და თავის დედან ცხოვრებისეულ გამოცდილებას დაუზარებლად უზიარებს ახალგაზრდებს.

სახელოვანი ტრადიციების კოლექტივში დღესაც ახალგაზრდული ენერგიით შრომობს ტახანოვური მონაწილე ვეტერანი და დიდი სამამულო ომის მონაწილე ალექსანდრე ბეკალეკა. გამოცდილ ხელოვანს თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს გუმბრინელთა მიერ საფრთხილოდ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში.

სტანანოვური მაძრაობის წლებში დიდნაყოფიერი შრომით ისახელა თავი გუმბრინელმა მაღაროელმა შალვა ბზიკაძემ. აკი დაუფასდა კიდევ სიბეჯითე: მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ მას 1939 წელს კრემლში პირადად მ. ი. კალინინმა გადასცა. სამამულო ომის წლებში შ. ბზიკაძე ზურგის სამაგალითო ჯარისკაცი იყო და დაჯილდოდა მედლით „ალეკასის დაცვისათვის“. შრომის ვეტერანი შარშან პატივით მიიპარეს შობლიურ მიწას.

ოცდათიანი წლების წარჩინებულ ადამიანებს, სტანანოვური მაძრაობის პიონერებზე მასალას რომ ვაზუტებდი, „სკკ გუმბრინის“ მაღაროთასმმართველოს თავკაცებმა ასევე ბრძოლ მიხსენეს ამჟამად პენსიაზე მყოფი მთავარი ინჟინერი და პარტბიურო მდივანი ნიკოლოზ ფაჩუაშვილი, ვალენტინ მიხაილოვი, ვლადიმერ ღოღობერიძე, კონსტანტინე გურეშიძე, შიო მაყაშელი, ნიკოლოზ გოლეი და სხვები.

სტანანოვური ტრადიციები ცოცხლობს და მრავლდება გუმბრინელთა დღევანდელ სამეგებში. ისინი თავიანთ გამოხატულებას პოულობს ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში ეროვნულ-ეროვნულ ბანაკებს შორის, ეროვნულ-ეროვნულ ბანაკებსა და ეროვნულ-ეროვნულ ბანაკებსა და ეროვნულ-ეროვნულ ბანაკებ-ეროვნულ ბანაკებ-ეროვნულ ბანაკებ

გავაუმჯობესოთ საბჭოების ორგანიზატორული მუშაობა

ჩვენი ქვეყნისა და რესპუბლიკის მომავალი უმაღლესი პარტიული ფორუმებისათვის მზადების საყოველთაო-სახალხო მძიმრობაში აქტიურად ჩაებნენ აბრეშუმის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოები.

ახორციელებენ რა ამასთან დაკავშირებით დასახულ გეგმებს, საბჭოები, მათი აღმასრულებელი კომიტეტები, თანამიმდევრულად აუმჯობესებენ ხელმძღვანელობას სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი, უფრო სრულად იყენებენ მათდამი დაქვემდებარებული სამეურნეო ორგანოების საქმიანობის კოტროლის კანონით მინიჭებულ უფლებას. მათს მუშაობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასურსათო პროგრამის რეალიზაციის, ფართო მოსახლეობის საქონლის გამოშვების მოცულობის გადიდებისა და ხარისხის გაუმჯობესების საკითხებს, — აღინიშნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე. სხდომის მონაწილეებმა განიხილეს მუშაობა, რომელსაც ეწევიან აბრეშუმის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოები სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის მოსამზადებლად.

პრეზიდიუმმა აღნიშნა სასესიო საქმიანობის, მუდმივი კომისიების მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესება და ყურადღება მიაქცია არსებული ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს. კერძოდ, აღინიშნა, რომ ამ საბჭოების ორგანიზატორული მუშაობის დონე მთლიანად ჯერ კიდევ საკმარისი არ არის და სრულად არ შეესაბამება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილისა და ივლისის პლენუმების მოთხოვნებს.

ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო ვერ უზრუნველყოფს ხელმძღვანელობას სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობისადმი თავის ტერიტორიაზე, ჯეროვან ყურადღებას არ უთმობს მეცხიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების არსებული რეზერვების რაციონალურ გამოყენებას და .ამ საფუძველზე სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასა და შრომის ნაყოფიერების გადიდებას, დისციპლინისა და ორგანიზებულობის განმტკიცებას. რაიონის საზოგადოებრივ მეურნეობებში მეცირეა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსაყალითობა, პიროტუვის პროდუქტიულობა. დიდია პროდუქციის თვითღირებულება, დებიტორული დავალიანება, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანების საბჭო კი ჯეროვან სიმკაცრეს და მომთხოვნელობას არ იჩენს სამეურნეო კადრებისადმი.

საბჭოების სესიებზე, აღმასკომებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე ჯერ კიდევ ეშვიათად ისმენენ შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელთა ანგარიშებს.

ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში პრეზიდიუმმა დაავალა აბქეტის რაიადმსკომს, რაიონის სახალხო დეპუტატთა ადგილობრივ საბჭოს უზრუნველყონ სკკპ XXVII ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობისათვის, მზადებასთან დაკავშირებული ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესება, განავითარონ შრომელთა შემოქმედებითი ინიციატივა და აქტიურობა 1985 წლისა და მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში.

აფხაზეთისა და აჭარის ასსრ სასუბიექტების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა სოფლის საბჭოს აღმასკომებ, რაიონული და სანაკადო საბჭოების აღმასკომებს დაევალთ პრაქტიკული საქმიანობა დაუქვემდებარონ ეკონომიკის ინტენსიფიკაციის ამოცანებს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, დაგეგმვისა და მართვის სრულყოფის საფუძველზე უნდა დავრაზმთ მშრომელები წლისა და მთლიანად ხუთწლედის დავალებათა წარმატებული შესრულებისათვის.

პრეზიდიუმმა განიხილა აგრეთვე ქალაქ თბილისის ვერეის რაიაღმასკომის საქმიანობა ფორმალობის, საქმის გაჭიანურებისა და მოქალაქეთა მიმართვებზე მუშაობაში არსებულ სხვა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. სხდომაზე მოისმინეს აგრეთვე ინფორმაცია „საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საქალაქო, ქალაქის რაიონული საბჭოს შესახებ“ კანონის შესაბამისად მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისადმი გორის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელობის გამოცდილების თაობაზე.

პრეზიდიუმმა გააანალიზა ამოცმრჩეველთაგან საქართველოს სსრ მეთერთმეტე მოწვევის უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა შენგადრების ერთიანი კვირეულის შედეგები, განიხილა ზოგიერთი სხვა საკითხი. (საქინფორმი).

მოწმობანი საჭიროებისაგან მიხედვით...

ხელმძღვანელს და მის ოჯახს მოკრძალება

მართებთ საზოგადოების წინაშე

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იცით, პრესაში გამოქვეყნდა ინფორმაციი იმის შესახებ, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ პარტიული ეთიკის ნორმების უფულეებელყოფილა და თავმდაბლობის გრძნობის დაკარგვისათვის, სამსახურებრივი მდგომარეობით სარგებლობისათვის სკკპ წევრს, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრს ამხ. თ. პ. გელეიშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური საყრიდეცვო ბარათში შეტანით. იგი განთავისუფლებულია თანამდებობიდან.

იგივე ინფორმაცია მკითხველს პირდებოდა, ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსის გაცნობას.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში კერძოდ, ნათქვამია, რომ თ. პ. გელეიშვილი ხელს აფარებდა თავისი მეუღლის დ. ნ. გელეიშვილის სამრახლის საქციელს, რომელმაც ისარგებლა ქმრის სამსახურებრივი მდგომარეობით საზღვარგარეთ გამგზავრების გაფორმების დროს. შეეფადა პროტექციითი მიღწია დადგენილი წესების სერიოზული დარღვევისათვის.

ეს შესაძენელი ბანდა გაზეთ „ობლესისს“ რედაქციის და ზოგიერთი სხვა ორგანოსაციისა და ფიზიკურ პირთა ხელმძღვანელთა უპრინციპო პოზიციისა და დოკლაპობის შედეგად.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიღებულ დადგენილებაში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნათა შესაბამისად, საზოგადოდ აღნიშნა, რომ ყოველმხრივ უნდა გაძლიერდეს პარტიული დისციპლინა, მომკითხველობა, კომუნისტების, განსაკუთრებით ხელმძღვანელი შუამავლის პასუხისმგებლობა თავიანთი ოჯახებსა წევრთა საქციელისა და მოქმედებისათვის.

აღინიშნა, რომ რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მინისტრმა, სკკპ წევრმა ამხ. თ. პ. გელეიშვილმა დაკარგა თავმდაბლობისა და მაღალი რანგის ხელმძღვანელის მოვალეობათა დაცვისათვის პირადი პასუხისმგებლობის გრძნობა, არ გამოიჩინა პარტიული ეთიკის ნორმების პატივისცემა, არ აღაკვეთა თავისი მეუღლის თვითნებური და არასწორი მოქმედება, რითაც არსებითად წაუფერა მის საძრახის საქციელს, მისწრაფებას — გამოეცენებინა თავისი ოჯახური მდგომარეობა დამატებითი შეღავათების მიღებისა და პირადი გამორჩენის მიზნით. ამის შედეგად გელეიშვილის ოჯახის გარშემო შეიქმნა მკვეთრად უარყოფითი საზოგადოებრივი აზრი.

მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კომპარტიის სალაქო, საქალაქო, და რაიონული კომიტეტები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, სამინისტროების, უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების, სასწავლებლებისა და შემოქმედებითი კავშირების ხელმძღვანელები განუხრელად უნდა იცავდნენ საერთაშორისო ტერიზმისა და სპეციალიზებული მიელინებების, სამეცნიერო, კულტურული და სპორტული გაცვლის, საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის ხაზით რესპუბლიკის მოქალაქეთა საზღვარგარეთ წასვლისათვის შერჩევისა და გაგზავნის დადგენილ წესს. ამისათვის უნდა უზრუნველყოფთ ტურისტული მოგზაურობის ორგანიზაციის ფართო საკარობა, შრომითის კოლექტივებში საზღვარგარეთ წასვლისათვის კანდიდატურების და მათი დახასიათებათა საფუძვლიანი შესწავლა და განხილვა ადგილობრივ პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში, ფურადღებისა და შესაბამისი რეგირების გარეშე არ დაგტოვოთ საზღვარგარეთ წასვლისათვის რეკომენდაციის გაცემისა და ტურისტული მოგზაურობის ორგანიზაციის დროს პროფესიონიზმის, სამსახურებრივი მდგომარეობის, ნათესაობრივი კავშირის გამოყენების, საზღვარგარეთ წასასვლელად უღირსი კანდიდატურების შერჩევის, ყალბი, დამახინჯებული საანკეტო მონაცემებისა და ცნობების წარმოდგენის არც ერთი ფაქტი.

საქართველოს პროფსაბჭოს წინადადება მიეცეს შეისწავლოს და განიხილოს სამედიცინო მუშაკების და კულტურის მუშაკების პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების მიერ დ. ნ. გელეიშვილისათვის ფინეთში საქმიანობაზე ტურისტული საგზურის გამოყოფის საკითხი და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებანი დამნაშავეთა მიმართ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს სხდომაზე მსჯელობა იყო ერთ კონკრეტულ ფაქტზე, ცხოვრება კი ამის მრავალ ფაქტს, იძლევა, როცა ხელმძღვანელი მუშაკის ოჯახის წევრები საჯარო მოკრძალებას არ იჩენენ, არ უფრთხილდებიან თავიანთი ახლობლის, მაღალი პოსტის მქონე პირის ავტორიტეტს, სწორედ ამასთან დაკავშირებით იყო ნათქვამი საქართველოს იდეოლოგიური აპარატის კრებაზე: „ჩვენ ვიცით, თუ რა დაძაბულად შრომობს ბევრი ჩვენი ხელმძღვანელი, ზოგჯერ დღეღამეში ორ საათს მუშაობს, არ ზოგავს ძალ-ღონესა და ჯანმრთელობას და შემოხვევითი არ არის, რომ ჩვენ მათ ვანიჭებთ გარკვეულ შეღავათებს, ვუუმჯობესებთ საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობებს და ა. შ. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ასეთივე მეღვაოებით ვანუსაზღვრელად შეიძლება ისარგებლონ მათი ოჯახების ყველა წევრმა, ნათესავებმა და ნაცნობებმა. რა გამოდის? ზოგჯერ ამა და ამ პიროვნებას აძლევენ ბინას. გაიხედავ და, რამდენიმე ხნის შემდეგ სურს ასეთივე ბინით უზრუნველყოს თავისი შეილები, ამგვარი თხოვნით მიმართავს, ვისაც ჯერ არს და ხშირად ეს თხოვნა კმაყოფილდება. ეს სწორი არ არის. ყოველნაირი შეღავათი გამონაკლისია და მოლოდინ იმას ეძლევა, ვინც თავად მუშაობს განსაკუთრებულ პირობებში. აქ ასევე საჭიროა მკაცრი მოკითხველობა და წინადადებულია...

ყოველი ასეთი გადახრა საყოველთაო აღფოთებას იწვევს და ჩვენ უფურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ ამგვარი ფაქტები, საჭიროა ობიექტურად გავერკვევთ და საჯაროობუ გამოვიტანოთ ისინი“.

და მართლაც სამე აქამდე არ მიგიდოდა, თავიდანვე, ვიდრე მინისტრის პოსტზე დანიშნავდნენ, უფრო ღრმად და საფუძვლიანად რომ შეესწავლათ თ. გელეიშვილის პიროვნება, მისი პირადი დადებითი და უარყოფითი თვისებები.

ბარამ დეკემბერში, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს აპარატის პარტიულ კრებაზე მინისტრის მოადგილის ფენგინ გელეიშვილის პარტიულ დახასიათებას რომ ამტკიცებდნენ, კომუნისტებმა, თანამშრომლებმა კოლეგებმა მის დადებით მხარეებთან ერთად აღნიშნეს, რიგორც ხელმძღვანელს, ბევრი ნაკლი და უარყოფითი თვისება აქვს, ფიცი და ემოციურია, ხშირად გამოდის წონასწორობიდან, ხელქვეთებისადმი ბატონკაცურ დამოკიდებულებას იჩენს, ავადმყოფურად იღებს ყოველგვარ კრიტიკას და შენიშვნას, რის გამოც კოლეგებთან დამოკიდებულებაში ხშირად კონფლიქტურ სიტუაციებს და დაძაბულ ნერვულ ატმოსფეროს ქმნისო.

სამართლიანი შენიშვნები გასდათ, მაგრამ გამოჩნდნენ მფარველები, რომლებიც შეეცდენენ არ შეელახათ თ. გელეიშვილის პრესტიჟი მინისტრის პოსტზე მისი დაწინაურებისას, „გაზვიადეს მისი ღვაწლი და დამსახურება და მიაწერეს მას ისეთი საქმეებიც, რომლებიც სამინისტროს მთელი აპარატის მიერ იყო გაკეთებული. მას პირადად მიაწერეს ტექნიკურ მიღწევათა დანერგვა სამინისტროს სისტემაში, დიატომიტის წარმოების წამოწყების ინიციატორობაც, თუმცა დიატომიტის ქარხანა სამინისტროს აპარატში გელეიშვილის მოსვლამდე იყო აშენებული და მუშაობდა კიდევ ლირსებები გაუზიადეს, ხოლო მის ნაკლოვანებათა გამო კრიტიკული შენიშვნები ასე ახსნეს: მტკიცმტკად მომმოვნის, ამატომ მტრები პყავს, რომელსაც მისი მინისტრად დანიშვნის ჩაშლა უნდათო.

დიდი სახელმწიფოებრივი თანამდებობა მას ავალებდა ამიერიდან მაინც გამოეჩინა კომუნისტისა და მაღალი რანგის სელმძღვანელისათვის ესოდენ საჭირო და სავალდებულო ზომიერება და თავმდაბლობა, თანამდებობისათვის პირადი პასუხისმგებლობა.

მაგრამ ასე არ მოხდა, იგი კიდევ უფრო გადიდებულდა და, როგორ სჯირდებოდა, არ ეჩიდებოდა პირადულისათვის საზოგადოებრივი ინტერესები დაექვემდებარინა.

ამის ერთ-ერთი მიზეზი ის გახლდათ, რომ გელეიშვილების ოჯახში წესრიგი და ერთსულოვნება არ სუფევდა. ოჯახი ხომ ჩვენი საზოგადოების საფუძველია, იგი ის მცირე სოციალური რგოლია, რომელის წევრები ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ყოფაცხოვრების ერთიანობით, ურთიერთმსგავსებერით და მორალური პასუხისმგებლობით.

სწორედ საზოგადოების წინაშე მორალური პასუხისმგებლობა აკლდა დალი და თენგიზ გელეიშვილების ოჯახს, ქმარს თავის ნებაზე პყავდა მიმშვებული მეუღლე, ქალი სხვადასხვა დაწესებულებაში ფიქტიურად ფორმდებოდა ნაირ-ნაირ თანამდებობებზე, რომ შემდეგ აქედან აღებული ხან ტურისტად, ხანაც ვიზით და მიწვევით. ქმარი კი ვიფიმ არ კითხულობდა და თითქოს არც არაფერი იცოდა ცოლის ამ საძრახისი საქციელის შესახებ.

1982 წელს დალი გელეიშვილი იუბილესავით რომ გამგზავრა, ამის უფლება თბილისის ლენინის რაიონის სპეც-ავტომეურნეობის დირექტორის მიერ გაცემული დახასიათების საფუძველზე მიიღო, სადაც ის თითქოს ნაგვის გატანის აგენტად მუშაობდა. დავიჯეროთ, ქმარმა არაფერი იცოდა ყოველივე ამის შესახებ. არ იცოდა, რომ მის მეუღლეს ამ დანაშაულებაში არასოდეს არ უმუშაია. ან კი უმაღლესდამთავრებულ ქალს, ბედოგოგს, უფლო ენის სპეციალისტს, მისი პროფესიისათვის ამ სრულიად უცხო დაწესებულებაში რანაირად უნდა ემუშავა?!

1985 წელს, როცა ქმარი უკვე მინისტრი იყო, დალი გელეიშვილი ერთი ქვეყანაში არ დასჯერდა და ორ ქვეყანაში მოისურვა მოგზაურობა. საჭირო საბუთებს, რაღა თქმა უნდა, ყალბსა და ფიქციურს, ერთდროულად აგროვებდა, და ჩეხოსლოვაკია რომ მოიარა, მერე ფინეთში აპირებდა გამგზავრებას, საქმე ახლა უფრო ეიოლებოდა, რადგან მინისტრ ქმარს ახლა მეტი გავლენა ჰქონდა.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში იგი ვიზით, ჩეხოსლოვაკიელი მოქალაქის მიწვევით იმყოფებოდა. თან ისე მოსპერსა, რომ ამ მოგზაურობაში მეგობარი ქალიც თან ხლებოდა (ეს ის ქალი გახლავთ, რომლის ქმარი დალი გელეიშვილმა ერთ-ერთი მსხვილი საწარმოო გაერთიანების დირექტორად დაანიშვნინა თავის მინისტრად მეუღლეს), ქმარს კი არ უკითხავს და არც იცოდა ვინ იყო ის უცხოელი მოქალაქე, მის ცოლს მეგობარ ქალთან ერთად საზღვარგარეთ რომ ეპატიჟებოდა ასე თავგასმოდებით, არც ის უკითხავს, ერთი თვის სამყოფი ფული — ვალუტა რომ აიღო სახარჯოდ და სამოგზაუროდ, ჯადაზე ადრე, ათ დღეში რატომ დაბრუნდა მოგზაურობიანად, ნუთუ არც იმი- ნი დაინტერესებულა, გაწეული ეკონომიური რა ჩამოიტანა მეუღლემ საზღვარგარეთიდან?

ეტყობა, დალი გელეიშვილი სრული თავისუფლებით სარგებლობს ქმრისგანაც და სინდისისგანაც: გათხოვებისა და ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ თითქმის ოცი წლის განმავლობაში მას არსად არ უმუშავია, ანკეტებსა და ავტობიოგრაფიულ ცნობებში კი თავს ისე წარმოგვიდგენს, თითქოს შრომით წელი ჰქონდეს მოწყვეტილი, და თუმცა პროფესიით პედაგოგია — უცხო ენის სპეციალისტი, არც ერთი სახის სამუშაოს არ თაკილობდეს. ამ დოკუმენტებს რომ დავუკვირდეთ, სხვადასხვა დროს იგი მუშაობდა თბილისის პირველი და მოსწავლეთა სასახლეში პედაგოგად, ბოლნისის რაიონის სოფელ ბორჩალოს რვაწლიანი სკოლის მასწავლებლად, მედიკამენტების საწყობის გამგედ ბაქტერიოლოგიის ინსტიტუტში, სისხლის გადასხმის ინსტიტუტის არქივში და სხვ. თან ეტყობა, თავისივე ტყუილსა და გამონაგონს ადგილად ვერ იხსობენს, და სხვადასხვა დოკუმენტში სხვადასხვანაირად წერს თავის სამუშაო ადგილებისა და თანამდებობათა ნუსხას.

დალი გელეიშვილის მიერ შეთხზულ ტყუილს, სიცრუესა და სიყალბეს საზღვარი არა აქვს და, თქვენ წარმოიდგინეთ, ამაში ქმარსაც — თენგიზ გელეიშვილსაც უდევს წილი: თბილისის პირველი მაისის რაიონის მმაჩის ბიუროს მიერ გაცემული მოწმობა ადასტურებს, რომ თენგიზ პავლეს ძე გელეიშვილი მეუღლესთან ოფიციალურად გაწყვრწინდა ჯერ კიდევ 1969 წელს. მეუღლი მამას მიეკუთვნა, დედა მარტოდმარტო დარჩა, სინამდვილეში კი ოჯახის მთლიანობა არ დარღვეულა და, როგორც შემდეგ გაიკვეთა, ეს „მცირე“ სიყალბე შორს გამიზნული ყოფილა. ამ განქორწინებით თენგიზ გელეიშვილმა შემდეგ თავის ორ შვილთან ერთად სამოთახიანი ბინა მიიღო, ხოლო ის ერთი ოთახი, რომელშიც ადრე მთელი ოჯახი ცხოვრობდა, „ყოფილმა“ ცოლმა დაინარჩუნა, თავის სახელზე გადაიფორმა და ...გამოკეტა.

ცოლ-ქმარმა მაქინაციებით ხელში ჩაიგდო ქორწინების მოწმობაც და განქორწინებისაც, და მომენტისა და საჭიროების მიხედვით ხან ერთს იყენებდნენ, ხან მეორეს. სკკპ წევრის თ. გელეიშვილის ამ დანაშაულებრივ მოქმედებას ალბათ ცალკე მსჯელობის საგნად გახდის ადგილმრეწველობის სამინისტროს პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

ნურგავი პგონია, თითქოს ხელმძღვანელის და მისი ოჯახის ასეთი კომბინაციები შეუმჩნეველი დარჩება საზოგადოებისათვის. ყოველი ამგვარი სიყალბე და ამ გზით მიღწეული უფრმოელი კეთილდღეობა ჩრდილს აყენებს ხელმძღვანელ მუშაკს, მოელ მის ოჯახს და შეურაცხმყოფელია ჩვენი საზოგადოებისათვის, ხოლო ხელმძღვანელის პირადი დადებითი მაგალითი, პარტიის რაიკომის მდივნის პირადი მაგალითი, მინისტრის პირადი მაგალითი, ცენტრალური კომიტეტის მდივნის პირადი მაგალითი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს და უდიდეს გავლენას ახდენს ჯანსაღი საზოგადოებრივი ატმოსფეროს შექმნაზე.

მ. გორდაძე.

უცხოეთი

ფაქტები მოვლენები

30 აგვისტო ● საკდესი იუწყება

რომ მუდამ იქმს უღრუბლო ზეცა

ხვალ, 1 სექტემბერს, აღინიშნება მუშვიდობისათვის პროფკავშირული მოქმედების დღე

ანკარა. ევროტნამის სოციალისტური რესპუბლიკა გადაჭრით ებრძს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის მიერ განაღეფილ გამალებულ ბრძოლას ეროვნული ინიციატივ ებ ს, რომელთა მიზანია პლანეტაზე, ცერძოდ, აზიაში, მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცება.

ვიეტნამელი ხალხი, აღნიშნულია „განცხადებაში, დიდად აფასებს ინდოჩინეთის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების კონფერენციაზე წამოყენებულ კონკრეტულ წინადადებებს, რომელთა მიზანია დაძაბულობის შენელება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, ეგეროსის ყველა პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტა.

ანკარა. ახალი ზელანდიის სოციალისტური ერთიანობის პარტიის ორგანომ—გაზეთმა „ნიუ ზილენდ ტრიბუნმა“ მოუწოდა ახალი ზელანდიის მშრომელებს ამერიკელ მბრძოლელებს ვიეტნამელ ხალხთან ერთად ებრძოლონ ომი ვიეტნამში, ეროვნული ინიციატივა ებ ს, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ენა, ეროვნული ფასეულობანი, ეროვნული ტრადიციები, ეროვნული ფასეულობანი, ეროვნული ინიციატივ ებ ს, ეროვნული ეკონომიკა, ეროვნული ენა, ეროვნული ფასეულობანი, ეროვნული ტრადიციები

თუ არა ერთობა...

ᲛᲔᲠᲕᲔ გაზეთის 25 მაისის ნომერში დაიბეჭდა წერილი: „სოფელი და ბედ-იღბალი“, რომელშიც მოთხრობილი იყო ამის შესახებ, თუ თერი წყაროს რაიონის სოფელ ახალსოფელში შეხვრეხმა გაბრო და ქეთი აფციაურებმა როგორ კალაბირეს 12 წლის შვილშვილი ვახტანგ, მოსწყვიტეს დედას, და-ძმას და მათი ნახევს უფლებას არ აძლევდნენ. ჩვენ მოვუწოდეთ მაწან სოფელს ყრილობა მოეწყო და იქ გადაეწყვიტა სამართალი.

ᲓᲐ აი, შეიკრიბა სოფელი. ქუდზე კაცია, რომ იტყვიან, ყველა მოვიდა, დიდ-პატარა, ქალი, კაცი. ყველა, ვისაც კი სიარული შეეძლო.

* * *

დასრულდა, მორჩა.

როგორც იქნა თავი მოუყარა სამივეს.

ერთმანეთის მიყოლებით ჩასვა მანქანაში, თვითონაც გვერდით მიუჯდა და ხელი გადაეფარა.

რა არ გადაატანა მისი გულისთვის, რას არ გაუძლო.

გაგიგიათ, თორმეტ წელს ნასოფლიერ შვილს ძალით გლეჯდნენ გულიდან, უმამინჯებდნენ და ვერ შეელოდა.

რაღაც არამქვეყნიური სხვი გადაკკოდა სანუნ, ცრემლჩამდგარი თვალებიე უჩვეულოდ უბრწყინავდა, ხან ხალს უყურებდა, ხან შვილებს.

სანამ სოფელი ბჭობდა, დედა ჩუმად იყო, მოთმინებით უცდიდა განაჩენს; ხედავდა, სოფელი მის მხარეს იყო და იმედს არ კარგავდა.

როცა მანქანა დაიძრა, თითქოს რაღაც გაახსენდაო, სწრაფად გამოაღო კარი, ფეხი გადმოდგა, ერთი ხელი შვილებს გადააფარა, მეორე მაღლა ამართა და გულში ჩამწვდომი ხმით წარმოთქვა:

— გმადლობთ, ხალხო, დიდად გმადლობთ!

მერე სწრაფად მოხურა კარი, დაემხო ნანატრ შვილს მკერდზე და მწარედ აქვითინდა.

სიხარულის იყო, შვების იყო, ნეტარების იყო ეს ცრემლები.

ლოცვა-კურთხევით მიაცილებდა სოფელი დედა-შვილებს. მანქანა თვალს მოეფარა, ხალხი მაინც არ თმლებოდა. აქა-იქ კვლავ ისმოდა ქვითინი.

რამდენ ხანს გასტანა სოფლის ყრილობამ?

ხუთ საათს, და ამ ხნის მანძილზე ცრემლი არ შეშრობიათ ადამიანებს, თავს ვერც კაცები იკავებდნენ და ცრემლების არ სცხვენოდათ.

თითქმის ერთი წელი იბრძოდა დედა, შვილი რომ დაებრუნებინა. ძალა არ შემწევს დაგიბატოთ გაგი გაბრო ჰაპამ და კვლავ ვასიკოსა და დედამისს შორის ჩადგა.

— ვერსადაც ვერ წაიყვანთ. თუ წაიყვანთ ხელწერილი დამიწერეთ, რომ არ გამოგიგზავნეთო, — ხმამაღალი ოხუნჯობა.

ახლა კი ჩამოპკრა განკითხვის ზარმა.

ახლა კი ეელარ მოითმინა სოფელმა.

გამოჩნდა ხალხის თავგამოდების უნარი, მისი ურთიერთდახმარება, მისი სამართლიანობა.

მანქანამ, რომელშიც ზინა აფციაური და მისი შვილები ისხდნენ, ხალხის ტაღვი გაარღვია და თბილისისკენ აიღო გზა.

სოფელმა შეეგმინ ამოისუნთქა. ხალხი არ იშლებოდა, უცაბ აჩოჩქოლდა, გაიე-გამოიწია და მარაზე ხელჯოხიანი გაბრო გამოჩნდა. მარტოდმარტო მიუყვებოდა გზას. თავისი ხელით გადებულ გზას, რომელშიც ეარი და ვერ გაიკვალა კაცის გული.

შემძრა იმ გზის დანახვამ.

შემებრალა მოხუცი.

მინდოდა დაგეწეოდი, გაბრო ჰაპა, მომეგბრუნებინე და მეთქვა სოფლისთვის, რომ შენ გიყვარდა შენი შვილიშვილი, გინდოდა შენთან ყოფილიყო, მაგრამ სწორი გზა ვერ აირჩიე, შეცდი, ახლა ნახო, მაგრამ ვიცოდი ეზრი არ ექნებოდა ჩემს შენთან ნახვას, შენ ახლა ამ ხალხში ყველაზე უფრო ეკჯავრებოდი. მე მთელი ყველაზე დიდ დამნაშავეედ. ვერავინ მომრია გაზეთის ბეტონ, გითქვამს, ამ ქალმა და გაზეთმა წაბარიეთს შვილიშვილიო.

ნეტა რა იფიქრე იმ ღამეს, მარტო რომ დარჩი. შენმა შვილმა ნიზომაც და ხალვარეშა შვილიშვილმაც ბალუნამაც მარტო დგატოვეს, მხარში არ ამოგიდგნენ, ყრილობას არ დაესწრნენ, სოფლის რისხვისა შეეშინდათ. აი, ასე დარჩი მარტო.

სოფელს არ შეეპუე, არ გატყდი. მარტო რომ დარჩი, თუ ინანე?

ვფიქრობ, რომ ინანე და მწარედაც: ეს შემდეგ ვასიკო